თავი II

2017 წლის იანვარ-სექტემბრის მაკროეკონომიკური მიმოხილვა

ეკონომიკური ზრდა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასების მიხედვით, 2017 წლის პირველი ცხრა თვის მთლიანი შიდა პროდუქტის საშუალო რეალურმა ზრდამ, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 4.7 პროცენტი შეადგინა. წინასწარი მონაცემებით, 2017 წლის I კვარტალის საშუალო რეალური ზრდა 5.1 პროცენტს, II კვარტალში კი 4.7 პროცენტს შეადგენს, წინასწარი შეფასებით III კვარტალში ზრდა 4.4 პროცენტია.

2017 წლის პირველ ნახევარში მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ 4.9 პროცენტი, ხოლო ნომინალური გამოსახულებაში 17 384.1 მლნ ლარი შეადგინა. 2017 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით ზრდა აღინიშნებოდა შემდეგ დარგებში: მშენებლობა (18.8%), სასტუმროები და რესტორნები (10.9%), კავშირგაბმულობა (8.2%), ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა (6.8%), საფინანსო საქმიანობა (6.6%).

ფასები

2017 წლის სექტემბერში ინფლაციის დონემ წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით (წლიური ინფლაცია) 6.2 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდისათვის, საბაზო ინფლაცია 4.5 პროცენტის დონეზეა.

წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებში: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები: ფასები გაიზარდა 6.5 პროცენტით, რაც 1.96 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაში, ტრანსპორტი: ფასები მომატებულია 14.7 პროცენტით, რამაც წლიურ ინფლაციაში 1.84 პროცენტული პუნქტი შეიტანა, ალკოჰოლური სასმელები, თამბაქო: ფასები გაიზარდა 17.4 პროცენტით, რაც 1.13 პროცენტული პუნქტით აისახა მთლიანი ინდექსის ზრდაზე.

2017 წელს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი 4 პროცენტს შეადგენს.

გაცვლითი კურსი

2017 წლის ცხრა თვეში ლარი გამყარდა აშშ დოლართან მიმართებაში. 2017 წლის სექტემბერში 2016 წლის დეკემბერთან შედარებით ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 6.4 პროცენტით გამყარდა და 2.48 ლარი შეადგინა ერთ აშშ დოლარზე. ლარის ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი, რაც წარმოადგენს ლარის საშუალო კურსს სავაჭრო პარტნიორების გაცვლით კურსებთან, გამყარდა 1.7 პროცენტით.

მონეტარული აგრეგატები

2017 წლის სექტემბერში 2016 წლის სექტემბერთან შედარებით M3 ფართო ფულის აგრეგატი 18.5 პროცენტით გაიზარდა და 16 957.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო M2 ფულის მასა 21.9 პროცენტით გაიზარდა და 7 645.6 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა.

2017 წლის სექტემბერში მთლიანი დეპოზიტები 19.3 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის დეპოზიტები ეროვნულ ვალუტაში 26.1 პროცენტით, ხოლო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 15.8 პროცენტით გაიზარდა.

2017 წლის სექტემბერში, წინა წლის დეკემბერთან შედარებით დოლარიზაციის კოეფიციენტი 5.0 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 64.8 პროცენტს შეადგენს. ამავე პერიოდში 6.5 პროცენტული პუნქტით შემცირდა სესხების დოლარიზაციის კოეფიციენტი და 58.1 პროცენტი შეადგინა.

საგარეო სექტორი

2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 7 567.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 12.1 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1 940.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (28.3%-ით მეტი), ხოლო იმპორტი 5 627.2 მლნ. აშშ დოლარს (7.4%-ით მეტი).

საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებს შორის პირველი ადგილი თურქეთს უკავია, რომლის წილი 2017 წლის იანვარ-სექტემბრის მონაცემებით მთლიანი საქონელბრუნვის 14.8 პროცენტს შეადგენს. მას მოსდევს რუსეთი 10.7%, ჩინეთი 8.5% და აზერბაიჯანი 7.5%-ული წილებით.

ექსპორტში 14.1 პროცენტით პირველ ადგილზე რუსეთია, შემდეგ მოდიან აზერბაიჯანი 8.6%, თურქეთი 8.5%, ჩინეთი 8.3% და სომხეთი 7.6%.

იმპორტში პირველი ადგილი თურქეთს უჭირავს 16.9 პროცენტით, შემდეგ მოდიან რუსეთი 9.5%, ჩინეთი 8.5%, აზერბაიჯანი 7.1% და უკრაინა 5.6%.

სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტში პირველ ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 16.0 პროცენტით, მომდევნო ადგილებს იკავებენ: ფეროშენადნობები 12.2%, მსუბუქი ავტომობილები 7.7%, ყურძნის ნატურალური ღვინოები 6.0%, სამკურნალო საშუალებები 5.1% და ა.შ.

იმპორტის სასაქონლო სტრუქტურაში პირველ ადგილზე ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომელსაც მთლიან იმპორტში 8.7 პროცენტიანი წილი უკავია. შემდეგ მოდიან: მსუბუქი ავტომობილები 6.0%, სპილენძის მადნები და კონცეტრატები 4.6%, სამკურნალო საშუალებები 4.4% და ა.შ.

2017 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 2 064.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 5.6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 462.4 მლნ. აშშ დოლარი იყო (18.9% მეტი), ხოლო იმპორტი 1 602.6 მლნ. აშშ დოლარი (2.3% მეტი).

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2017 წლის იანვარ-სექტემბერში 2 428.2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (2016 წლის იანვარ-სექტემბერთან შედარებით 31.2% მეტი). აქედან ექსპორტი 785.4 მლნ. აშშ დოლარი (59.0 პროცენტით მეტი), ხოლო იმპორტი 1 642.8 მლნ. აშშ დოლარი (21.0 პროცენტით მეტი).

ფულადი გზავნილები

2017 წლის იანვარ-სექტემბერში წმინდა ფულადი გზავნილები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 22.4 პროცენტით გაიზარდა (154.5 მლნ აშშ დოლარით მეტი). წმინდა ფულადი გზავნილები გაზრდილია რუსეთიდან 22.0 პროცენტით, ისრაელიდან - 101.8 პროცენტით, აშშ-დან - 14.9 პროცენტით, თურქეთიდან - 22.6 პროცენტით და იტალიიდან - 15.0 პროცენტით.

ტურიზმი

2017 წლის ცხრა თვეში, საქართველოს 5 823 ათასი ვიზიტორი ეწვია, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემს 19.3 პროცენტით აღემატება.

იანვარ-სექტემბერში ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 2 164 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 28.5 პროცენტით (480 მლნ აშშ დოლარით) აღემატება გასული წლის მაჩვენებელს.

ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2017 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 7 613 463.5 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებული 8 034 638.4 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 105.5%.

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 962 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 205 446.5 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.5%.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 160 464.5 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 264 434.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 164.8%.

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 490 999.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 564 757.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 115.0%.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 147 354.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (106 000.0 ათასი ლარი) 139.0%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 52 041.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (44 300.0 ათასი ლარი) 117.5%-ია.

2017 წლის იანვარ-სექტემბრის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**7,613,463.5**	**8,034,638.4**	**421,174.9**	**105.5**
გადასახადები	**6,962,000.0**	**7,205,446.5**	**243,446.5**	**103.5**
საშემოსავლო გადასახადი	2,202,000.0	2,188,923.9	-13,076.1	99.4
მოგების გადასახადი	571,000.0	617,588.1	46,588.1	108.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,703,000.0	3,012,049.8	309,049.8	111.4
აქციზი	1,199,000.0	1,047,088.5	-151,911.5	87.3
იმპორტის გადასახადი	56,000.0	51,311.5	-4,688.5	91.6
ქონების გადასახადი	274,000.0	295,595.1	21,595.1	107.9
სხვა გადასახადი	-43,000.0	-7,110.4	35,889.6	16.5
გრანტები	**160,464.5**	**264,434.7**	**103,970.2**	**164.8**
სხვა შემოსავლები	**490,999.0**	**564,757.1**	**73,758.1**	**115.0**

ინფორმაცია საქართველოს 2017 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების შესახებ

2017 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 854 539.5 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 7 186 235.9 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 104.8%.

2017 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	**6,854,539.5**	**7,186,235.9**	**331,696.4**	**104.8**
გადასახადები	6,426,000.0	6,637,402.1	211,402.1	103.3
გრანტები	160,464.5	261,477.8	101,013.3	163.0
სხვა შემოსავლები	268,075.0	287,356.0	19,281.0	107.2

გადასახადების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 6 426 000.0 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 6 637 402.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 103.3%.

სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1 916 474.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 940 000.0 ათასი ლარი) 98.8%-ია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 617 588.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (571 000.0 ათასი ლარი) 108.2%-ია. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად 2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი. რაც გულისხმობს კლასიკური მოგების გადასახადის ჩანაცვლებას განაწილებული მოგების გადასახადით. კერძოდ, მოგების რეინვესტირებისას კომპანიები თავისუფლდებიან მოგების გადასახადით დაბეგვრისაგან და მოგება იბეგრება, მხოლოდ მისი განაწილებისა და დივიდენდად გაცემის შემთხვევაში. უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს სახელმწიფომ რეფორმის ფარგლებში (მაისი, ივლისი, სექტემბერი) 368 მლნ ლარზე მეტი რესურსი დაუტოვა ბიზნესს რეინვესტირებისთვის.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 3 012 049.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 703 000.0 ათასი ლარი) 111.4%-ია.
- აქციზის სახით მობილიზებულია 1 047 088.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 199 000.0 ათასი ლარი) 87.3%-ია. აქციზის გადასახადის ფაქტიური შემოსავლების ჩამორჩენა საპროგნოზო მაჩვენებელთან, ერთის მხრივ გამოწვეულია, იმ გარემოებით, რომ ავტომობილების იმპორტიორებს მიეცათ შეღავათი 3 თვის განმავლობაში ძველი განაკვეთებით ესარგებლათ, ხოლო მეორეს მხრივ თამბაქოზე აქციზის ზრდის მოლოდინის პირობებში კომპანიების მიერ მოხდა მარაგების შექმნა, რომლის ეტაპობრივი გამოყენება ხორციელდება მიმდინარე წლის განმავლობაში.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 51 311.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (56 000.0 ათასი ლარი) 91.6%-ია.

2017 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
გადასახადები	**6,426,000.0**	**6,637,402.1**	**211,402.1**	**103.3**
საშემოსავლო გადასახადი	1,940,000.0	1,916,474.6	-23,525.4	98.8
მოგების გადასახადი	571,000.0	617,588.1	46,588.1	108.2
დამატებული ღირებულების გადასახადი	2,703,000.0	3,012,049.8	309,049.8	111.4
აქციზი	1,199,000.0	1,047,088.5	-151,911.5	87.3
იმპორტის გადასახადი	56,000.0	51,311.5	-4,688.5	91.6
სხვა გადასახადი*	-43,000.0	-7,110.4	35,889.6	16.5

*შენიშვნა: გადასახადების ერთიანი სახაზინო კოდის შემოღების შემდეგ დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ, ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა საგადასახადო შემოსავლის ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე. შესაბამისად სხვა გადასახადის შესრულება კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი ისევე უარყოფითი სიდიდე.

გრანტების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 160 464.5 ათასი ლარით, საანგარიშო პერიოდში მობილიზებულ იქნა 261 477.8 ათასი ლარი (მათ შორის „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართული სახსრები - 42 900.0 ათასი ლარი), ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 163.0%.

ათასი ლარი

დასახელება	საანგარიშო პერიოდის ფაქტი
გრანტები	**261,477.8**
ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტები	**60,218.6**
საინვესტიციო გრანტები	**109,866.5**
SDC	418.1
GEF	1,193.7
EU	15,873.5
EBRD	5,280.4
SIDA	2,372.7
ORIO	45.2
CNF	792.4
IFAD	152.3
KfW	8,656.2
MCC	62,077.5
E5P	13,004.5
ხაზინის ანგარიშზე რიცხული რეესტრის გრანტები	**48,242.6**
მიმდინარე გრანტები ცენტრალური სსიპ(ებ)-დან/ა(ა)იპ(ებ)-დან	**42,900.0**
ბორჯომის ხეობაში სტიქიის შედეგად დაზიანებული ტერიტორიების აღდგენის დაფინანსება**	**250.1**

სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 268 075.0 ათასი ლარის ოდენობით, მობილიზებულ იქნა 287 356.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მაჩვენებლის 107.2%.

საანგარიშო პერიოდში სხვა შემოსავლების მობილიზაციის მდგომარეობა ცალკეული სახეების მიხედვით შემდეგია:

- **საკუთრებიდან მიღებული შემოსავლების** სახით მობილიზებულია 117 942.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (113 300.0 ათასი ლარი) 104.1%-ია. აქედან,
  - **პროცენტები** - 39 564.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (33 500.0 ათასი ლარი) 118.1%-ს შეადგენს.
  - **დივიდენდების** სახით მობილიზებულია 65 178.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (65 000.0 ათასი ლარი) 100.3%-ს შეადგენს.
  - **რენტის** სახით მობილიზებულია 13 199.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (14 800.0 ათასი ლარი) 89.2%-ია.
- **საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან** მობილიზებულია 60 840.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (43 975.0 ათასი ლარი) 138.4%-ია. აქედან,
  - **ადმინისტრაციული მოსაკრებლებისა და გადასახდელების სახით** - 57 798.2 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (41 450.0 ათასი ლარი) 139.4%-ია. მათ შორის:
  - სალიცენზიო მოსაკრებელი - 12 447.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (325.0 ათასი ლარი) 3 830.0%-ია;
  - სანებართვო მოსაკრებელი - 29 148.8 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (24 850.0 ათასი ლარი) 117.3%-ია.
  - სარეგისტრაციო მოსაკრებელი - 1 298.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1 500.0 ათასი ლარი) 86.5%-ია;
  - სახელმწიფო ბაჟი - 12 600.1 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (12 980.0 ათასი ლარი) 97.1%-ია;
  - საკონსულო მოსაკრებელი - 1 150.7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (940.0 ათასი ლარი) 122.4%-ია;
  - სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი - 766.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (580.0 ათასი ლარი) 132.1%-ია.
  - სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებლების სახით მობილიზებულია 386.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (275.0 ათასი ლარი) 140.6%-ია.
  - **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლისა და მომსახურებიდან** - 3 042.5 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 525.0 ათასი ლარი) 120.5%-ია. მათ შორის:
  - საქონლის რეალიზაციიდან - 45.3 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (55.0 ათასი ლარი) 82.4%-ია;
  - მომსახურების გაწევიდან - 2 985.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (2 470.0 ათასი ლარი) 120.9%-ია;
  - სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან - 11.6 ათასი ლარი.
- **სანქციების (ჯარიმები და საურავები)** სახით მობილიზებულია 41 088.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (44 300.0 ათასი ლარი) 92.8%-ია.
- **ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე** მობილიზებულია 12 066.8 ათასი ლარი.
- **შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების სახით** მობილიზებულია 55 417.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (66 500.0 ათასი ლარი) 83.3%-ია.

2017 წლის იანვარ-სექტემბრის სახელმწიფო ბიუჯეტის
სხვა შემოსავლების შესრულების მაჩვენებლები

ათასი ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	+/-	%
სხვა შემოსავლები	**268,075.0**	**287,356.0**	**19,281.0**	**107.2**
შემოსავლები საკუთრებიდან	**113,300.0**	**117,942.5**	**4,642.5**	**104.1**
პროცენტები	33,500.0	39,564.5	6,064.5	118.1
დივიდენდები	65,000.0	65,178.6	178.6	100.3
რენტა	14,800.0	13,199.4	-1,600.6	89.2
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**43,975.0**	**60,840.7**	**16,865.7**	**138.4**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები	**41,450.0**	**57,798.2**	**16,348.2**	**139.4**
სალიცენზიო მოსარებლები	325.0	12,447.4	12,122.4	3,830.0
სანებართვო მოსარებლები	24,850.0	29,148.8	4,298.8	117.3
სარეგისტრაციო მასაკრებლები	1,500.0	1,298.1	-201.9	86.5
სახელმწიფო ბაჟი	12,980.0	12,600.1	-379.9	97.1
საკონსულო მოსაკრებელი	940.0	1,150.7	210.7	122.4
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	580.0	766.5	186.5	132.1
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	275.0	386.6	111.6	140.6
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**2,525.0**	**3,042.5**	**517.5**	**120.5**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	55.0	45.3	-9.7	82.4
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	2,470.0	2,985.6	515.6	120.9
სხვა შემოსავლები არასაბაზრო წესით გაყიდული საქონლიდან და მომსახურებიდან		11.6	11.6	
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	**44,300.0**	**41,088.6**	**-3,211.4**	**92.8**
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა**		**12,066.8**	**12,066.8**	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**66,500.0**	**55,417.4**	**-11,082.6**	**83.3**

არაფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 70 318.4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებელის (59 500.0 ათასი ლარი) 118.2%-ია.

ფინანსური აქტივების კლებიდან მობილიზებულ იქნა 55 256.6 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (54 300.0 ათასი ლარი) 101.8%-ია.

შენიშვნა**: სახაზინო სამსახურის ინფორმაციით საანგარიშო პერიოდში ბორჯომის ხეობაში სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული ტერიტორიის აღდგენის მიზნით იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ჩარიცხული თანხები აღრიცხულია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შემდეგ მუხლებში: „ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა“ (1 518.8 ათასი ლარი) და „გრანტები“ (250.1 ათასი ლარი). აღნიშნული სახსრები მოხმარდება შესაბამისი ღონისძიებების დაფინანსებას.